



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 02

26 თებერვალი 2021 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2021 წლის 26 თებერვალს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: ნოდარ გიორგიძე ირინა ტყეშელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გაია სახამბერიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, თემურ მინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, ზაზა ზივზივაძე, მამუკა გორგოძე, მაია კბილაშვილი, თეონა ფახურიძე, რუსუდან გეწაძე, კობა მშვილდაძე, მაკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე.

საკრებულოს წევრები: სულ 25 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: შალვა მშვილდაძე, ვლადიმერ წიქორიძე, გიორგი რობაქიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, ირაკლი გოგსაძე, ალექსი ლომინაშვილი, გაბრიელ ღიბრაძე, შალვა დათუაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

არჩილ გოგსაძე - მუნიციპალიტეტის მერი.

მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

ანტონ ქარაბაკი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

კახა გოგნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 წევრმა, დაესწრო 25 საკრებულოს წევრი.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ნ. გიორგიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მომხს. ანტონ ქარაბაკი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 42 2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“, ფრაქციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ბაღდათელები მომავლისათვის“ ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე- საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის N 42 34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 21 წინააღმდეგი - 0 **კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

ანგარიში საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა: ანტონ ქარაბაკმა, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

აზრი გამოთქვეს: არჩილ გოგსაძემ, გურამი ჩხეიძემ, მაია კბილაშვილმა, ნოდარი გიორგიძემ. **კომისიის დასკვნა წარადგინა გურამი კიკნაველიძემ, საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

ცნობად იქნეს მიღებული იქნეს წარმოდგენილი ანგარიში (საკრებულოს განკარგულება N 42 6 26.02.2021წ განკარგულება თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 42 2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

განკარგულების ცვლილების პროექტი და კომისიის დასკვნა ბიუროს სხდომას წარუდგინა: **საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ.**

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 7 26.02.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-18 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 18 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“, ფრაქციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

ინფორმაცია საკრებულოს სხდომას, ფრაქციის გაუქმების თაობაზე გააცნო საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიას განცხადებით მომართა ფრაქციის თავმჯდომარემ ფრაქციის წევრების მიერ ფრაქციის დატოვების შესახებ“.

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

ცნობად იქნეს მიღებული იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის ინფორმაცია (საკრებულოს განკარგულება N 42 8 26.02.2021წ განკარგულება თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ბაღდათელები მომავლისათვის“ ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ.

საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნა ახალი ფრაქციის დაფუძნების თაობაზე, საკრებულოს სხდომას წარუდგინა: **გვანცა გრძელიძემ-საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, როგორც მან ათნიშნა,** საკრებულოს წევრებმა: გაბრიელ ლიბრამძემ, ზაზა ზივზივამძემ და დიომიდე კიკნაველიძემ, რომლებმაც დატოვეს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“, საკრებულოს იურდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას მომართეს ახალი განცხადებით და მოითხოვეს ახლად შექმნილი ფრაქციის „ბაღდათელები მომავლისათვის“ რეგისტრაცია. როგორც გ. გრძელიძემ აღნიშნა, კომისიამ გადაამოწმა მათ მიერ წარმოდგენილი ფრაქციის სადამფუძემდლო დოკუმენტაცია და გასცა დადებითი დასკვნა რეგისტრაციისათვის.

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

ცნობად იქნეს მიღებული იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის ინფორმაცია (საკრებულოს განკარგულება N 42 9 26.02.2021წ განკარგულება თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 5. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის N 42 34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 10 26.02.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-20 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 11 26.02.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-19 წინააღმდეგი-1 (ზაზა ზივზივამე)

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 12 26.02.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-19 წინააღმდეგი-1 (ზაზა ზივზივამე)

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 13 26.02.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 20 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

ნოდარ გიორგიძე